პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით | შაბათი, 14 ივნისი 1924 წ. | წელიწადი მეოთხე | ფასი 5 კაპ. ჩერ.

# კომუნისტი

№ 524 ქ. მ. ღ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 85
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## გერმანიის გამყიდველთა ყრილობა.

ამ უკანასკნელ ხანებში გახშირ-და გამყიდველ სოციალისტთა სხვა და სხვა თათბირები, ყრილ ბები, რომელზედაც მუშათა კლასის მოღალატენი კიდევ ერთხელ ადასტურებენ თავის ერთგულებას ბურჟუაზ-ისადმი და გამცემლობას მუშათა კლასის მიმართ.

ამ ჟამად ბერლინში მიდის გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა. ყრილობის გახსნისათანავე სოციალ-შემთანხმებლები შეუდგენ კომპარტიის ლანძღვა-გინებას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მათი მთავარი მტერი დღეს გერმანიაში კომპარტია არის.

კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება და კომპარტიის ავტორიტეტის ზრდა მშრომელთა ფართე მასებზე მოსვენებას არ აძლევს გაკოტრებულ გერმანიის სოციალ-დემოკრატიას. ის ყოველივე ღონისძიებას მიმართავს შეაჩეროს თავისი ძლევამოსილი მოწინააღმდეგეს წინსვლა.

თავის ყრილობაზე გამყიდველები დიდის რიხით აცხადებენ, რომ თითქოს მათ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს უკანასკნელ სარეიხსტაგო არჩევნებზე და, რომ ბოლშევიკური მოძრაობა გერმანიაში არ იზრდება არც ორგანიზაციულად, არც პოლიტიკურად. ამაზედ მეტი გათახსირება შეუძლებელია.

იმის შემდეგ, რაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ დაკარგა თავის ხმების ნახევარზე მეტი ხსენებულ არჩევნებზე. იმის შემდეგ, რაც კომუნისტურ პარტიამ საშინელი რეპრესიების ქვეშ და ყოველგვარ სააგიტაციო საშვალებას მოკლებულმა მიიღო ოთხი მილიონზე მეტი ხმა არჩევნებზე და დაიჭირა მეორე ადგილი; ყოველივე ამის შემდეგ გამყიდველი სოც.-დემოკრატიას იმის თავხედობაც კი აქვს, ამტკიცოს, რომ კომპარტია არ იზრდება არც ორგანიზაციულად და არც პოლიტიკურად.

ყრილობის დელეგატი კრისპინი ესალმება ყვითელ ინტერნაციონალის უკანასკნელ დადგენილებ-ბს და გამოსთქვამს თავის აღტაცებას ექსპერტთა კომისიების დადგენილებების საბრძნის წინაშე.

ეს ვაჟბატონი ექსპერტთა კომისიების პროექტის მიღებას გერმანიის მთავრობის მიერ ახასიათებს, როგორც მარქსიზმის გამარჯვებას ბურჟუაზიაზე.

ჩვენ სრულიადაც ეჭვი არ შეგვ-დის იმაში, თუ როგორი სიამოვნებით შეურიგდება გერმანიის ბურჟუაზია ასეთ „დამარცხებას“. გერმანიის პროლეტარიატის საწველ ფურად გაცემა იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის—ყვითელ სოციალისტებს ეს მიაჩნიათ როგორც მარქსიზმის გამარჯვება იმპერიალიზმზე. ეს შეუძლიათ თქვან მხოლოდ მარქსიზმის საშინელ მტრებმა, როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატებია.

თავის სიძულვილში კომუნისტებისადმი კრისპინი იქამდიც კი მივიდა, რომ უწინასწარმეტყველა ბოლშევიკებს ფაშიზმად გადაგვარება. და ეს იმ დროს, როდესაც თვითონ თავის პარტიითურთ ლაპარაკობს ჭეშმარიტ ფაშისტურ სიტყვებს.

„კომუნიზმი ევროპაში და გერმანიაში მაშინ დამარცხდება, როდესაც ის დამარცხდება მოსკოვშიო“ ლაპარაკობს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მეგობარი, ცნობილი რუსი მენშევიკი დანი, რომელსაც ამ სიტყვებზე ტაშს უკრავს მთელი ყრილობა.

აი ეს არის ფაშიზმად გადაქცევა და მუშათა კლასის მოსისხლე მტრად შექმნა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია აწარმოებს რა სასტიკ ბრძოლას კომპარტიის წინააღმდეგ თვითონვე შეიქმნა ფაშიზმის ქვაკუთხედი და მისი ინტერესების გამტარებელი.

გერმანიის სოციალ დემოკრატიამ დაისახა კომუნიზმის აღმოფხვრა, მაგრამ ის თვითონვე აღიგვება დედამიწიდან კომუნისტური რევოლიუციის ძლევამოსილი გრიგალით.

## საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში.

### ამხ. ლენინის ნეშთის ხელმეორედ დამურვა.

ს. ს. რ. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისაგან დანიშნულმა კომისია, ლენინის სახელის საუკუნო ხსოვნის აღსანიშნავად აცხადებს: გარდაცვალებისთანავე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სხეული იქნა დამურვილი, რომლის შედეგები თავის დროზე იქნა პრავდაში გამოცხადებული. დამურვა მოახდინა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ აბრიკოსოვმა, რომელსაც დაევალა უვნებლად შეენახა ვლადიმერ ილიას-ძის სხეული მიწასთან მიბარებამდე.

23 იანვარს დილით ლენინის გვამი გადატანილ იქნა მოსკოვში და სამი დღის განმავლობაში სულ თავ ახდილ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ეს დრო საკმარისი არ შეიქნა, რომ ყველას ენახა ლენინის გვამი და სამუდამოდ დაემახსოვრებიათ საყვარელ ბელადის სახე,

26 იანვარს საბჭოების მეორე ყრილობამ გამოიტანა დადგენილება ლენინის სხეულის შესანახავად. შემდეგ მთავრობამაც გადასწყვიტა მიწისთვის არ მიებარებიათ ილიჩის გვამი, არამედ მოეთავსებიათ ის მავზოლეიში და ყველასათვის მიეცათ საშვალება მისი ნახვის.

მოსკოვის მუშათა ორგანიზაციების მთელი რიგი და პროვინციებიდან ჩამოსული დელეგატები, რომლებსაც სიცოცხლეში არ ენახათ ამხ. ლენინი შეუწყვეტლად მოდიოდნენ წითელ მოედანზე.

თვენახევრის განმავლობაში მოვზოლეი ინახულა 100.000 კაცმა. ამავე ხნის განმავლობაში აუარება წერილები და დეპეშები მოდიოდა საზღვარ გარეთულ მუშათა ორგანიზაციებიდან რომლებშიც ნებართვას ითხოვდენ ლენინის გვამის ნახვისთვის.

პირველ დამურვას მიზნათ ჰქონდა სხეულის შენახვა მცირე ხნის განმავლობაში, მაგრამ დროს თავისი გაჰქონდა. სხეულის ზოგიერთ ნაწილებზე თავი იჩინა პიგმენტაციამ და კანის ფერი საგრძნობლად შეიცვალა, რაც ააშკარავებდა პროცესის დაწყებას, რომელიც ხელს შეუშლიდენ გვამის შენახვას. ამის გამო ზემოხსენებულმა კომისიამ გამართა თათბირი სპეციალისტებთან, რომლებიც გამოწვეული იყვნენ საკავშირო რესპუბლიკებიდან.

თათბირის მიზანი იყო გამოერკვია, თუ როგორ შეიძლებოდა ამხ. ლენინის გვამის უვნებლად და გაუხრწნელად შენახვა დიდი ხნით.

თათბირმა გამოარკვია, რომ სხეულის დიდი ხნით შესანახავად გაუხრწნელად საჭიროა ხელმეორედ მისი დამურვა, რომლის სისრულეში მოყვანა მიენდო ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის ანატომიის პროფესორ ვორობიოვს.

ხელახლად დამურვას შეუდგნენ 26 მარტს, რაც თავის დროზე იყო გამოცხადებული პრესაში.

დამურვიდან უკვე განვლო ორმა თვემ.

საშიში ხანა უკვე განვლილია. ამ ჟამად პროცესი უკანასკნელ სტადიაში იყო და ამიტომ 13 ყრილობის წევრებს საშვალება მიეცათ ერთხელ კიდევ დაენახა თავიანთი საყვარელი ბელადის სახე. ფართე მასების დაშვება მავზოლეისთან დაიწყება ამ ახლო ხომავალში. რაზედაც კომისია პრესის საშვალებით თავის დროზე აუწყებს საზოგადოებას



მილიერანის გადადგომა მიილეს

## ახალი კაბინეტის შედგენის წინ.

### ერიოს კაბინეტი.

ერიოს მეგობრები აცხადებენ, რომ ერიო იმ წამსვე შეადგენს ახალ-კაბინეთს, როგორც კი არჩეული იქნება რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი.

## პრეზიდენტი—პენლევე იქნება, დუმერგმა მოხსნა თავისი კანდიდატურა.

„დეილი მეილის“ პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, რადიკალ-სოციალისტებმა და სოციალისტებმა სცადეს ერთი პოზიციით გამოსულიყვენ პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის დასახელებაში. ამ პარტიების დელეგატებმა წინადადება მისცეს დუმერგს მოეხსნა თავისი კანდიდატურა პენლევეს სასარგებლოდ. დუმერგმა განაცხადა, რომ მას არ წამოუყენებია თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე, არამედ ეს ჩაიდინეს მისმა მომხრეებმა და თუ კონგრესზე ის მეტ ხმებს მიიღებს ის უარს არ იტყვის პრეზიდენტობაზე.

ბრიანმა და რენუმ მოხსნეს თავიანთი კანდიდატურა.

პლენარული სხდომის დროს პენლევემ მიიღო 307 ხმა, დუმერგმა კი 148. დუმერგმა მოხსნა თავისი კანდიდატურა და თხოვნით მიმართა თავის მომხრეებს ნუ წამოუყენებენ მის კანდიდატურას. პენლევეს არჩევა უზრუნველყოფილია.

სოციალისტების ფრაქციამ გადასწყვიტა ვერსალში პრეზიდენტის არჩევნების დროს მხარი დაუჭიროს პენლევეს.

### პენლევეს უჭერენ მხარს.

მემარცხენე ბლოკის თათბირზე რომელიც მოწვეული იყო პრეზიდენტის კანდიდატურის შესახებ მსჯელობისათვის, 306 ხმა მისცეს პენლევეს კანდიდატურას და 149 დუმერგისას.

## კომუნისტები ასულდგმულებენ

საფრანგეთის დეპუტთა პალატის სხდომაზე პრემიერ მარსალმა განაცხადა, რომ მილიერანის წინააღმდეგ დაწყებული კომპანიას ასულდგმულებს კომუნისტებიო. მარსალს ხშირად აწყვეტინებდენ სიტყვას მემარცხენე კომუნისტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოწოდება

## ქართ. დივიზიის ყველა კომანდირებს, პოლიტ-მომუშავეებს და წ.-არმიელებს

**ძვირფასო ამხანაგებო!**

14-18 წ.-წ. იმპერიალისტურმა ომმა საბოლოოდ დაარწმუნა მუშათა კლასი, გლეხობა და არმია იმაში, რომ ომის გაგრძელება შეუძლებელია, განსაკუთრებით იმ ომის, რომელსაც მოაქვს აუარება ადამიანთა მსხვერპლი, ანადგურებს მხარეს ეკონომიურად, აგდებს მილიონ მშრომელებს სიღატაკეში და მონობაში ერთი ჯგუფი კაპიტალისტების, ბანკირების, თავად-აზნაურების და მემამულეების ინტერესებისათვის.

რუსეთის მუშებმა, გლეხებმა და ჯარის კაცებმა ყველაზე ადრე მიხვდნენ უკანასკნელ იმპერიალისტურ ომის დამღუპველ მნიშვნელობას. 1917 წ. მუშათა კლასმა მთელ გლეხობასთან და არმიასთან ერთად მოაწყეს აჯანყება მეფის, ბურჟუაზიის და ომის წინააღმდეგ სოციალისტური წეს-წყობილების და კომუნიზმის გასამარჯვებლად.

ბუნებრივია, რომ დასავლეთ-ევროპის იმპერიალისტებს, სისხლისმსმელ კაპიტალის გულის-მოსაგებათ, არ შეეძლოთ ეპატიებიათ ასეთი „თავხედობა“ რუსეთის მუშათა კლასისათვის, (ეხლა კი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის) და გაერთიანებული ძალებით დაიწყეს ომი საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელების წინააღმდეგ.

რუსეთის ბურჟუაზიამ, დამარცხებულმა პროლეტარიატთან ბრძოლაში, მიმართა დახმარებისათვის თავის მოძმეს—ევროპის ბურჟუაზიას, ხოლო ეს უკანასკნელი, რომელიც გრძნობდა თავისი ნათესაური კავშირს პირველთან და წინდაწინვე იცოდა, რომ გამარჯვებული რუსეთის პროლეტარიატი მიეშველება დას. ევროპის პროლეტარიატს და ადრეთუ გვიან მოუსპობს არსებობას მთელი ქვეყნის კაპიტალისტურ წეს-წყობილებას,—მთელი თავისი ძალ-ღონით შეეცადა დახმარებოდა ბრძოლაში დამარცხებულ რუსეთის ბურჟუაზიას. ის ეხმარებოდა მას ფულით, სურსათ-სანოვაგით, იარაღით, ტანკებით და სხ.

რომ ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიას არ გაეწია მისთვის დახმარება, არ იქნებოდა არც ვრანგელი, არც დენიკინი, არც იუდენიჩი, არც კრასნოვი, არც უკრაინის ცენტრალური რადა, და საერთოდ ის საშინელი სამოქალაქო ომი, რომელმაც დაასუსტა და ეკონომიურად გაანადგურა მუშები და გლეხები.

ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის მიერ მუშათა და გლეხთა შინაურ საქმეში ჩარევის წყალობით—განადგურდა მხარე.

ე. წ. დასავლეთ-ევროპის ინტერვენციამ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ,—მიაყენა უამრავი ზიანი საბჭოთა რესპუბლიკებს მთლიანად და კერძოთ ასეულ ათასს მოქალაქეებს.

ძნელია აღრიცხვა იმ ზიანის, რომელიც მიაყენა ინგლის-საფრანგეთის მხეცურმა პოლიტიკამ საბჭოთა რესპუბლიკებს.

ეხლანდელ მომენტში, საბჭოთა რესპუბლიკების მუშებმა და გლეხებმა და ყველა იმ მოქალაქეებმა, რომლებმაც განიცადეს ინტერვენცია, უნდა წარუდგინონ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალს უკანასკნელთა მიერ მიყენებულ ზარალის სრული ანგარიში.

**ყველა იმ ზარალის სრულად აღსარიცხავად, რომელიც გადაიტანეს მშრომელებმა,—საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მოქალაქეების მიერ ს. ს. რ. კ. ყველა ქალაქებში მოწყობილია ინტერვენციის მსხვერპლთათვის დამხმარე საზოგადოება.**

ეს საზოგადოება ჰკრეფს უტყუარ ცნობებს იმის შესახებ, ვის, სად და რა ზიანი მიაყენა ინტერვენციამ.

ეჭვს გარეშეა, რომ საქართველომ, რომელიც მენშევიკების სამი წლის ბატონობის დროს იმყოფებოდა ხან გერმანიის, ხან ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ინტერვენციის ქვეშ, გადიტანა არა ნაკლები სხვა საბჭოთა რესპუბლიკებზე.

მენშევიკების რეჟიმის და მათი მეგობრების—ინგლის-საფრანგეთიკაპიტალისტების წყევა-კრულვით მოგონებით,—ყოველმა მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს თავისი ანგარიში მისი ზარალის შესახებ.

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის პოლიტ-სამმართველოს მიერ, მე გამოყოფილი ვარ რწმუნებულად ინტერვენციისაგან დაზარალებულთა აღსარიცხავათ ქართულ დივიზიის ფარგლებში.

ვაცნობებ რა ამის შესახებ ყველა წითელ-არმიელებს, მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობას, მივმართავ თხოვნით—დაუყოვნებლივ წარმომიდგინონ ცნობები ინტერვენციის დროს თქვენთვის მოყენებულ ზარალის შესახებ, როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში.

ცნობები, შეძლების და გვარად უნდა შეკრებილ იქნეს საბუთების მიხედვით, მოწმეების ჩვენებით და სხ.

ყველა თქვენი ანგარიშები წარედგინება ინგლის-საფრანგეთის და გერმანიის მთავრობებს მათ ასანაზღაურებლად.

სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირთა მთავრობა შესაძლებლობის ფარგლებში გააკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ ღირსეულად დაიცვას საბჭ. რესპუბლიკების მოქალაქეთა ინტერესები იმპერიალისტურ სახელმწიფოების ბოროტ განზრახვებისაგან.

ყველა განცხადებები გადმოგზავნილ იქნეს ქარტ. დივიზიის პოლიტგანყოფილებაში: ტფილისი, რუსთაველის ქ. № 31 (ყოფ. კადეტთა კორპუსის შენობა).

ინტერვენციისაგან დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოების რწმუნებული ქართ. დივიზიაში **ა. კვირიკაძე.**

## მოითხოვენ ს. ს. რ. კ. ცნობას.

კომპარტიის ორგანო „ჰიუმანიტე“ ახსენებს მემარცხენე ბლოკს, რომ საფრანგეთის მუშები, გლეხები და საშუალო კლასი მოითხოვს ს.ს.რ.კ. დაუყონებლივ ცნობას და დახმარების შეწყვეტას სსრკ მეზობელ ქვეყნებისათვის და თეთრგვარდიელთა ემიგრაციისათვის და აგრეთვე ევროპის სახელმწიფოთა განიარაღების პროექტის განხილვას, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა გენუას კონფერენციაზე.

## ერიო და მაკდონალდი.

მთავრობის შედგენის შემდეგ ერიო გაემგზავრება ლონდონს მაკდონალდთან სათათბიროთ.

## გერმანიას უხარია

„ფოსიშე ცაიტუნგი“ უკეთებს კომენტარიებს მილიერანის გადადგომას და სწერს, რომ მილიერანის გადადგომასთან ერთად, გერმანიას უდგება ხელსაყრელი დრო იფიქროს ქვეყნის აღდგენაზე.

## მარსელის კაბინეთის ოფიციალურად გადადგომა.

პრემიერ მარსალმა და მთავრობის ყველა წევრებმა ოფიციალურად წარუდგინეს მილიერანს გადადგმის ქაღალდები.

**პარლამენტის სოციალისტური ფრაქციის დადგენილება.**

პარლამენტის გაერთიანებულ სოციალისტურმა ფრაქციამ დაადგინა ყოველგვარი ზომები მიიღონ, პენლევეს პრეზიდენტად გაყვანისთვის.

## გაფიცვა ინგლისში

### ელექტროს მუშებიც გაიფიცებიან.

ელექტროს მუშაკთა კავშირმა დაადგინა, ლონდონის გზების ელექტრო სადგურებში გამოაცხადოს გაფიცვა თუ მიღწეულ არ იქნება შეთანხმება 12 შილინგის მომატების შესახებ სამუშაო ხელფასზე.

**მუშები მოითხოვენ.**

საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლებმა ინახულეს შრომის მინისტრი და გადასცეს, რომ ისინი მოითხოვენ პროფკავშირისაგან დაიწყონ მოლაპარაკება გაფიცულთა წარმომადგენლებთან.

**მოლაპარაკებაზე დასთანხმდნენ.**

რკინის გზის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დასთანხმდნენ დაიწყონ მოლაპარაკება, რკინის გზელ მემანქანეების კავშირის გენერალურ მდივანთან, სამუშაოს კლასიფიკაციისა და სრული საკვირაო ხელფასის შესახებ

## ამხ. ლუნაჩარსკი თფილისში.



თორმეტ ივნისს, საღამოს 6 ნახ. საათზე საქართველოს სამხედრო გზით, თბილისში ჩამოვიდა რუსეთის სოციალისტ. ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ლუნაჩარსკი.

მეორე დღეს, განათლების კომისარიატის და განათლების მუშაკთა კავშირის ინიციატივით, სასახლის ბალში მოხდა შეხვედრა, აღნიშნულ კავშირის მუშაკების და ამხ. ლუნაჩარსკის შორის. შეხვედრას დაესწრენ: ტფილისის სამეცნიერო ძალები, მასწავლებლები, განათლების კომისარიატის თანამშრომლები და სხვა.

დილის სრულ 11 საათზე კრება გახსნა საქართველოს განათლების კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პროფ. კ. კეკელიძე და რექტორი ივ. ჯავახიშვილი. ტფ. პოლიტ. ინსტიტუტიდან—ესსენი, სამეცნიერო დაწესებულებათა გამგე—ბერიძე, ხელოვნების მთავარი კომიტეტიდან გრ. რობაქიძე.

დასასრულ ილაპარაკა თვით განათლების კომისარმა ამხ. დავით კანდელაკმა, რომელმაც აღნიშნა მთელი სიძნელენი და დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ეღობებოდნენ განათლების კომისარიატს ნაციონალურ კულტურის მზრუნველობის და მოვლის საქმეში. ეს გარემოება კიდევ მით იყო გართულებული, რომ საქართველოში მრავალი ეროვნული უმცირესობანი არიან, მაგრამ ბოლოს, განათლების საქმეში მაინც მიღებული იქნა სასურველი შედეგები.

თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. ლუნაჩარსკიმ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ, აღნიშნული პატივისცემისათვის და აღნიშნა, რომ დღეს რუსეთში მთელი სამეცნიერო აზროვნება თანდათან იზიარებს კულტურის მატერიალისტურად გაგებას. მეცნიერები მტკიცეთ დგებიან საბჭოთა პლატფორმაზე. შემდეგ შეეხო ნაციონალურ კულტურის საკითხს და აღნიშნა, რომ ნაციონალურ კულტურის არსებობა საჭიროა, იმდენათ, რამდენათაც ეს აუცილებელი მოვლენაა ინტერნაციონალიზმისათვის, გაკვრით შეეხო აგრეთვე თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებას და საბჭოთა კავშირის მიერ აღმოსავლეთში წარმოებულ პოლიტიკას.

ამხ. ლუნაჩარსკის სიტყვა გაგრძელდა 25 წუთი. 12½ს. კრება დაიხურა.

**დ.**

## გერმანიაში

### კომუნისტების ეშინიათ

ზოგიერთ გაზეთებში გამოქვეყნებულია პოლიციის ცნობა, რომლითაც წინადადება ეძლევა კომპარტიას თავი გაანებოს დემონსტრაციების მოწყობას და ტერორის პოლიტიკას.

ცნობაში გაფრთხილებაა აგრეთვე ფაშისტებისადმი, რომ ნუ მიბაძავენ კომუნისტებს თავიანთი ტაქტიკით.

## სოციალ დემოკრატების ყრილობა.

სოციალ დემოკრატების პარტიული ყრილობა გაიხსნა პრუსიის ლანდტაგში, ბერლინის ორგანიზაციის თავმჯდომარის კიუსტლერის მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ აუცილებელია პარტიის მთლიანობა, მიუხედავათ არსებულ წინააღმდეგობებისა. კიუნსტლერის შემდეგ გამოვიდა კრისპინი, რომელმაც სთქვა, რომ სოციალ-დემოკრატებმა თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღებისაგან, რადგანაც მათ საამისო ძალა არა ყავთ. მისი სიტყვებით ბოლშევიკური მოძრაობა გერმანიაში გადაიქცა ანარქო-სინდიკალისტურ მოძრაობათ და ვერ გაიზარდა ვერც ორგანიზაციულად და ვერც პოლიტიკურადო.

**კრისპინი უფრო შორს წავიდა**

კრისპინი აცხადებს, რომ ბოლშევიზმს არავითარი პერსპექტივა არა აქვს და მას არ შეუძლიან განახორციელოს კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული ზომები, მაგალითად დღემდე მან ვერ მოაწყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო გამოსვლა.

### „წინასწარმეტყველობს“

კრისპინი თავის სიტყვას ასრულებს „წინასწარმეტყველობით“,—რომ ბოლშევიზმი გერმანიაში გადაგვარდება ფაშიზმათ ისე, როგორც ეს მოხდა იტალიაში.

**ოცნებობენ კომუნიზმის დამარცხებაზე.**

ყველა ქვეყნების წარმომადგენლები მიესალმენ ყრილობას. მათ შორის გამოვიდა დანიც, რომელმაც სთქვა, რომ კომუნიზმი ევროპაში და გერმანიაში მოისპობა მაშინ, როდესაც მას მოსპობენ მოსკოვშიო.

## პრეზიდენტს აქაც უპირებენ გადმოგდებას

ყრილობის მშვიდობიანი მსვლელობა მოულოდნელათ დაარღვია ფრანკფურტის დელეგატმა, რომელმაც მოითხოვა საკითხის დასმა და მსჯელობის გახსნა ებერტის პრეზიდენტობიდან გადაყენების და პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ახალ წვეულის ხმა წითელ ჯარის რიგებიდან.

დღეს, როდესაც ჩვენ მოვედით წითელ ყაზარმაში და ვნახეთ ის თუ რა არის, არ შემიძლია არ გავიხსენო ძველი დრო, მისი ყაზარმა და იქ გადატანილი ჯარის-კაცის მიერ ტანჯვა-ვაება. დღეს ყველა სიხალისით მიდის წითელ ლაშქარში. განა ასე იყო ძველად?. მეფის ჯარში წარმოუდგენელად იყო გავრცელებული დეზერტირობა. ეს არც გასაკვირი იყო. ჯარის-კაცს რუსეთის უზარმაზარ იმპერიის ერთ კუთხედან მეორე საბოლოვო კუთხეში მიყავდათ, რომ გამოქცევა არ შესძლებოდა მას. იქ მისვლისას მას ყვირილით და ცემით ხვდებოდენ. ნიკოლოზის მთავრობას განა არ ქონდა საშუალება ესწავლებია ჯარის-კაცებისათვის? მაგრამ ის ამას არ სჩადიოდა, რადგანაც ეს დამღუპველი იქნებოდა „პომეშჩიკების“ ბატონობისათვის.

სამაგიეროდ მას გულმოდგინეთ ასწავლიდენ რელიგიას, ხატების პატივისცემას და ქრისტეს მცნებას, ვითომც ამათში ყოფილიყოს ხსნა.

### დღეს.

მაგრამ, საბედნიეროდ, ამან დიდხანს ვერ გასტანა. მუშათა კლასმა, მისი გენიალურ ბელადის ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით, მოსპო ფეოდალების და ბურჟუების ბატონობა და მის მაგიერ მუშურ-გლეხური ხელისუფლება განმტკიცდა.

დღეს მუშათა კლასის, მისი მონაპოვართა დამცველი წითელი ლაშქარია. წითელ-ჯარს არ შერჩენია არავითარი ნასახი მეფის ჯარის და ყაზარმისა ზნე-ჩვეულებათა. დღეს მიმღებ პუნქტში ახალ გაწვეული უარს ეუბნება ექიმს გაშინჯვაზე, ისე დიდი სურვილია წითელ ლაშქარში შესვლისა. ის მიილტვის წითელ ყაზარმისკენ, რომ იქ მიიღოს სწავლა განათლება, გახდეს ღირსეული მოქალაქე საბჭოთა რესპუბლიკისა.

ეხლა ჩვენი მოვალეობაა, რომ ნამდვილად დავიმსახუროთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების გუშაგის სახელწოდება.

წ-არ. კ. გიგიტაშვილი.

## წითელ არმიის რიგები მტკიცდება.

9 ივნის შემთხვევით შევედი ქუთაისის სამაზრო სამხედრო კომისარიატში, სადაც თვალ წინ გადამეშალა სასიამოვნო სურათი: მთელი ეზო აჭრელებული იყო სხვა და სხ. ნაირათ ჩაცმულ, მომღიმარე ახალწვეულებით.

უკრავდა მესამე ლეგიონის სამხედრო ორკესტრი, ახალწვეულები თამაშობდენ და მღეროდენ.

მათი მხიარულება ყველა გამვლელის ყურადღებას იქცევდა მომხიარულე ახალგაზრდობა თფილისში გასამგზავრებლად ემზადებოდა

საღამოს 7 საათზე ისინი, ამხ. კალანდაძის, ბერიძის, მხეიძის (პოლიტგანყ.) და სამხედრო კომისარიატის თანამშრომელთა თანხლებით ორკესტრით გაეშურენ სადგურისაკენ.

სადგურში ამხ კაპიტონ კალანდაძემ სიტყვით მიმართა ახალწვეულებს და აღნიშნა, რომ მათ უკვე ეწოდათ დიადი სახელი „წითელ არმიელი“-ს, „თქვენ დიდი მოვალეობა გაწვებათ თავზე წ. ყაზარმაში მისვლით. თქვენ უნდა შეისწავლოთ სამხედრო სწავლება და განვითარდეთ გონებრივად, გახდეთ აქტიური, შეგნებული წევრები წითელ არმიისა და მედგრათ დაიცვათ მუშებისა და გლეხებისაგან სისხლით მოპოებული თავისუფლებაო. მხნედ თქვენს ფრონტზე და ღირსეულად ატარედ წითელი არმიელის დიადი სახელი“. ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. კაპიტონი.

წითელ არმიელები ხანგრძლივი ვაშას ძახილით ხვდებიან ამხ. კალანდაძეს.

წითელ ჯარს ემატება ახალი, ენერგიით აღსავსე ძალა და არა თვეობით, არამედ საათობით მტკიცდება საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც დარაჯათ უდგას სახელოვანი წითელ არმია.

დეე, იცოდეს მსოფლიო ჰორიკანა ბურჟუაზიამ რომ თუ გაბედა მუშების სისხლით დასვრილ ხელების ჩვენსკენ გამოშვერა, მას დაუხვდება უძლეველი წითელი არმია, რომელზედაც დაიმსხვრევა მისი დრო მოჭმული ბატონობა.

გაუმარჯოს წითელ ჯარის რიგების განმტკიცებას.

დეზები.

## რაზედ გვწერენ.

### ჩვენს რიგებში უღირს მოლაშქრეს ადგილი არ უნდა ექნეს.

ამ დღეებში საარტილერიო დივიზიონის ბიბლიოთეკა გადავიდა ახალ ბინაზე.

წიგნებისა და ყოველივე საჭირო ინვენტარის გადატანამ გასტანა 3 დღე.

8 ამა თვეს დილით არ აღმოჩნდა გაზეთების 6 თვის არქივი და მრავალი წიგნები და ჟურნალები.

დივ. კომისრის ამხ. დემეტრაშვილის მიერ იქნა მიღებული სასწრაფო ზომები ბოროტმომქმედებისა და დაკარგულის აღმოსაჩენად

ეჭვით წინასწარ დატუსაღებულ იქნა ბიბლიოთეკის დამგველი წით. არმ. გოგოლიშვილი, რომელსაც აღ მოაჩნდა გასაღებები. გასაღებები თავისუფლად აღებდნენ ბიბლიოთეკას. გოგოლიშვილი დანაშაულში არ ტყდებოდა.

ამხ. დემეტრაშვილი თავისი ფეხით დადიოდა ვაჭრებში კვალის მისაგნებად.

სრულიად შემთხვევით ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ამხ. შალიკაშვილმა მიაგნო კვალს და აღმოჩნდა რომ ყოველივე აღნიშნული გოგოლიშვილს მიეყიდნა მეცამეტე უბანში ვიღაც ჩარჩისთვის.

მყიდველის წინაშე წაყენებისას დამნაშავე გამოტყდა.

ღამის 10 საათზე კომისრის ამხ. დემეტრაშვილის თანდასწრებით ყოველივე ნაპოვნი ნივთები იქნა გადმოტანილი დივიზიონში.

მეორე დღეს მილიციამ ისევ მოახდინა ჩხრეკა ჩარჩის ბინაზე, ჩვენი კომისრის და ბიბლიოთეკის გამგის თანდასწრებით—სადაც აღმოჩნდა დარჩენილი ბიბლიოთეკის ქონების გარდა—დივიზიონის სხვა და სხვა სახაზინო ქონება, გადაცემული დივიზიონიდან სხვა და სხვა დროს.

გრ. ჩიჩუა.

## „ევკოგრუზი“-ს სარევიზიო კომისიის მუშაობის მაისის მოკლე ანგარიში.

ქართული წითელი ლაშქრის სამხედრო მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივის „ევკოგრუზი“-ს მესამე რწმუნებულთა ყრილობამ დამლევ აპრილს თავის უკანასკნელ სხდომაზე აირჩია ახალი სარევიზიო კომისია, რომელიც 1 მაისიდანვე შეუდგა თავის მუშაობას.

სარევიზიო კომისიას რომ თავისი მეთვალყურეობა შესაფერის დონემდე განევითარებია, ამისათვის მან გადასწყვიტა დეტალურად გაცნობა, როგორც ნაწილების დახურული დუქნების და ცენტრალურ მაღაზიების, მუშაობაზე თვალყურის დევნება და თავის დროზედ დეფექტების აღნიშვნა. ცხადია, რომ სარევიზიო კომისია დიდს ვერაფერს შესძლებდა, თუ ის მჭიდრო კავშირს არ გააბამდა ნაწილების დახურული დუქნების მეთვალყურე კომისიებთან, რისთვისაც მოწვეულ იქნა ტფილისის გარნიზონის ნაწილების დუქნების ყველა მეთვალყურე კომისიების თავმჯდომარეებთა თათბირი, სადაც აღნიშნულ იქნა, როგორც არსებული მუშაობის დადებითი მხარეები ისე უარყოფითაც. თათბირზე აღნიშნული დეფექტები, სარევიზიო კომისიამ მაშინვე აცნობა ცენტრალურ გამგეობას, რომელმაც მიიღო სათანადო ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლათ.

სარევიზიო კომისია მაისის თვის განმავლობაში შეიკრება ხუთჯერ, სადაც გაირჩა მიმდინარე კოოპერატიული საჭირ-ბოროტო საკითხები.

ამავე დროს სარევიზიო კომისია ესწრებოდა გამგეობის ყველა პრეზიდიუმის სხდომებს და მათთან ერთად მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ საკითხების გარჩევაში.

მაისის თვის განმავლობაში სარევიზიო კომისიამ მოასწრო დათვალიერება შემდეგი ნაწილების დუქნების: ცხენოსან ლეგიონის, პირველი ლეგიონის, საავიაციო გარნიზონის, საარტილერიო დივიზიონის, უმცროს მეთაურთა სკოლის, მესანგრე ასეულის, საკავშირო ასეულის და დივლაზარეთის. ამასთანავე კომისია გაეცნო მთავარი კანტორის და რუსთაველის მაღაზიის მუშა-მოსამსახურეებს, მათი სამსახურისადმი დამოკიდულებას. შემოწმებული იქნა აგრეთვე მთავარი კანტორის სალარო და მიიღო მონაწილეობა რუსთავლის, პლეხანოვის მაღაზიების საქონლის და სახერხავი ქარხნის აღწერაში. უნდა აღინიშნოს, რომ სარევიზიო კომისია უმთავრეს ყურადღებას აქცევს საქონელზე პროც. დადებას და ხარისხს.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ სარევიზიო კომისიის მუდმივი მომუშავე ერთ-ერთ გამგეობის წევრთან ერთად დაათვალიერებს სურამში მყოფ ნაწილების დახურულ დუქნებს, ქუთაისის განყოფილებას, მეორე ლეგიონის დუქანს და ბოგოსკიასანის მამულს.

სარევიზიო კომისიამ ამ ერთი თვის მუშაობით გამოარკვია, რომ ცენტრალური გამგეობა შედარებით გასულ წელთან, უფრო წარმატებით და ენერგიულადაც მუშაობს—თუ მუშაობა ასეთი წარმატებით წავიდა, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წელი გაცილებით მეტ ნაყოფს მოუტანს კოოპერატივს, ვიდრე რომელიმე წასული წელი და მეორეს მხრივ სავსებით დაცულიც იქნება კოოპერატიული ხაზი:

ელიზბარ.

## ახალ წვეულებს.

კვლავ ახმაურდა
უჩვეულ ქინით
რაშთა ყიჟინით,
და ძველს ყაზარმებს
სიცოცხლე სწორი,—
ზეაღმაფრენა
თითქოს შეშურდა.
და სულის ქშენას
გამალებული
აენთო გული,
სისხლიან დროშებს
ჩვენი გუშაგნი,
გულში ხუტებით
აორკეცებენ—
ზეაღმაფრენახ.

—

და ძველს შეშურდა
ახალგაზრდობა
სიცოცხლე-ობა,
როს ახალ გმირებს
გრძნობა ანთებულს
დროშა წითელი,
გულს ჩაექსოვა
და მზის სხივებათ
აშორიშურდა,
და ფრთებ აშლილი
შრომის შვილები
შრომა ბრძოლაში გამობრძნდები,
ახალ ცხოვრების
ახალ ფიქრებით
სგუშაგოზე ირაზმებიან
გუთან ქარხნების
შავი შვილები.

—

წინ, არწივებო,
და გულის ძგერით
გიჟურ სიმღერით,
წითელ ყაზარმებს
მიეცით ბანი,
და მტერს ლახვარი
ჩაეცით გულში,
მაშვრალთა ძმებო
თქვენ გენაცვალეთ
თქვენი ჭირიმე
შრომის შვილებო.

გოგიტო ციმბირელი.

## ახალი ამბავი.

— **ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება.** კვირას, დღის 12 საათზე, სახ. ოპერის თეატრში ამხ. ლუნაჩარსკი წაიკითხავს მოხსენებას მუშა-მოსამსახურეთათვის კომინტერნზე.

— **გერმანელების ტეხნიკუმში.** დღეს საღ. 6 საათზე, გერმანელების ტეხნიკუმში, ამხ. ლუნაჩარსკის თანდასწრებით მოეწყობა ბავშთა სატანთვარჯიშო გამოსვლა ყველა ეროვნების შრომის სკოლების მოწაფეებისა.

— **წყალსადენი მუშათა უბნებში.** ცენტრო აღმშენებლობა შეუთანხმდა ქალაქის წყალსადენის სამმართველოს მუშათა ახალშენებში წყალსადენის გაყვანის შესახებ.

— **სახლის განახლება.** ქალაქის ბანკმა განიზრახა აღადგინოს ყოფილ მუხრანსკის კუთვნილი დამწვარი სახლი, რუსთაველის პროსპექტზე.

— **შავი ქვის გატანა.** მაისის განმავლობაში საქართველოდან საზღვარ გარედ გატანილ იქნა 5.022.000 ფუთი შავი ქვა.

— **ეკლესიის შენობების გამოყენება.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა ნავთლუღის და კუკიის ეკლესიები დაანგრიოს და მასალა გამოიყენოს წისქვილის შენობის ასაგებათ.

— **ხევის გამაგრება.** ქალ. აღმასკომის კეთილ-მოწყობილობის განყოფილებამ დაადგინა გაამაგროს ვარაზის ხევი, სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

— **აქციზის დაკლე ასანთზე.** ა.კ. ცენტ. აღმასრ. კომიტეტმა მიიღო დადგენილება ასანთზე დროებით აქციზის დაკლების შესახებ.

— **მიმოსვლა აგარაკ ბახმაროზე.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა შეიმუშავა ნიხრი სამიმოსვლო ფასების შესახებ. ბახმარომდე საჯდომი ცხენი ღირს—5 მან. საბარგო—6 მანეთი და ფუთის ატანა—1 მანეთი.

— **სასოფლო სამეურნეო იარაღი გლეხებს.** გლეხკომების დროებითმა ცენტრალურ ბიუროს პლე-

ნუმმა დაადგინა წინადადება მისცეს სამაზრო გლეხკომებს თუ რაოდენი სასოფლო-სამეურნეო იარაღია საჭირო ადგილობრივ გლეხობისათვის.

— **ლენინის სახელობის დასასვენებელი სახლი.** ბახმაროზე მომავალი წლისათვის მზად იქნება დასასვენებელი სახლი, რომელსაც სამ. აღმასკომის დადგენილებით მიეკუთვნება ლენინის სახელი.

— **წამლეულობის განაწილება.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ჯანმრთელობის კომისარიატსა და წითელი ჯვრის წინაშე, რათა ყოველგვარი წამლეულობა ნაწილდებოდეს გლეხკომების საშუალებით.

— **საეკლესიო ნივთების გადაცემა.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა ხიდისთავის აღმასკომს გადაეცეს ადგილობრივი ეკლესიის ნივთები მოსახმარათ.

— **ოზურგეთის სპარტაკი.** სამაზრო აღმასკომმა გადასდო ოზურგეთის სპარტაკისათვის ტანისამოსის შესაძენათ ორასი მანეთი.

# ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

## ᲛᲡᲮᲛᲝᲕᲘᲐᲠᲔ ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ.

ზოგჯერ კარგი ამინდების წყალობით ბაღის ხეხილი იმდენ ნაყოფს ისხამს, რომ თუ დროზე არ მივეშველეთ, ტოტები სიმძიმეს ვერ გაუძლებენ და ჩამოტყდებიან. ამიტომ როცა მებაღე დაინახავს, რომ მოსავალს კარგი პირი უჩანს, იგი ისე უნდა მოიქცეს, რომ რაც შეიძლება მეტი და კარგი ხარისხის ხილი მიიღოს.

ჩვენში ხშირია ხის კარგი მსხმოვიარობა, მაგრამ მოუვლელობის გამო მოსავალი მაინც ცოტა და ცუდი ხარისხის მოდის.

კარგ მსხმოვიარობის დროს სხვა და სხვა ნაირ ხეხილს თავისებური მოვლა უნდა. ყველაფერი ის რაც ხელს უწყობს ხის განვითარებას, სასარგებლოა ნაყოფის დამწიფებისათვისაც.

უპირველესად ყოვლისა მებაღემ უნდა დაუკვირდეს, რამდენი ნაყოფის დამწიფება შეუძლია ამა თუ იმ ხეს. აქ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ბალი, ტყემალი, ალუჩა, ქლიავი და სხვა ასეთი ხეხილი, რომლებიც წვრილ ნაყოფს გვაძლევს უფრო ნაკლებ შრომას მოითხოვენ მოსავლელათ, ვიდრე მსხვილ ნაყოფიანი ხეხილი, მაგ. ვაშლი, მსხალი, კომში, ატამი და სხ.

ბალი, ალუჩა და ქლიავი, რა გინდ ბევრი არ გამოისხას, იმდენათ ვერ დაამძიმებს ტოტს, რომ ის მოტყდეს. მაგრამ აქ უნდა უფრთხილდეთ სხვა და სხვა მავნებელ მატლებს. მსხმოვიარე ხეს ძლიერ ბევრი ძალ-ღონე ეხარჯება ნაყოფის განვითარებაზე და მავნებლები იმას ადვილად ერევიან. ამიტომ ბალი ხშირხშირად უნდა დავათვალიეროთ, შევკრიბოთ მავნე მწერების ბუდეები, მოვწყვიტოთ დაზიანებული ნაყოფები და ტოტ-ღეროებს საფხეკი დანით ჩამოვაცალოთ ხავსი და გამხმარი უვარგისი კანი. ბაღში უნდა მოვსპოთ სარეველა მცენარეები და ხშირად ვთოხნოთ. მსხვილ ნაყოფიან ხეხილს (ვაშლს, მსხალს, ატამს, კომშს და სხ.) ზემოხსენებულ მუშაობის გარდა სჭირდება ტოტების დაბიჯგვა. ბიჯგების შეყენება ადრე უნდა დავიწყოთ სანამ ნაყოფი ჯერ კიდევ ქორფაა და ტოტებს არ ამძიმებს.

ბიჯგათ ყოველგვარი ხე ვარგა, მხოლოდ ის იმდენათ მსხვილი და მაგარი უნდა ამოვარჩიოთ, რომ გაუძლოს ტოტის სიმძიმეს. თუ ტოტი გრძელია, მაშინ საჭიროა ორი სამი ასეთი ბიჯგი. ასე იქცევიან მოვლილ და განოყიერებულ ბაღში.

წარმოვიდგინოთ, რომ ბაღი არ არის შესაფერისად მოვლილი და გაპოხიერებული, ხეხილმა კი ძლიერ ბევრი ნაყოფი გამოისხა. ხე გამოფიტულ ნიადაგში ვერ იშოვის საკმაო საკვებ მასალას და ნაყოფს ვერ დაამწიფებს. დაჩიავებულ ხილს ადვილათ მოედება მავნე მწერები და მივიღებთ ცოტა და ცუდი ხარისხის მოსავალს, რომელიც გასაყიდათ არ ივარგებს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ზედმეტი ნაყოფის მოშორება. ადრევე, (როცა ნაყოფი შუა სიდიდეს მიაღწევს), ნაყოფი უნდა შევათხელოთ და ყოველ ხეზე და ტოტზე იმდენი უნდა დავტოვოთ, რამდენის დამწიფებასაც ხე შესძლებს.

**მეურნე.**

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

## ᲥᲘᲛᲘᲣᲠ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ.

საწინააღმდეგო დამხმარე საშუალებანი (ქლორის კირი, მნთებადი პაკეტები, მარაოები და სხვა) პოზიციის აირისაგან გასაწმენდათ იხმარება.

მოწინააღმდეგის ქიმიურ თავდასხმისაგან დაფარვის ერთად ერთი საშუალება—აირსაწინააღმდეგო ხელსაწყობია. ამიტომ სამწყობრო უფროსებმა უნდა მიიღონ ყოველი ზომები, რათა წითელ არმიელებს კარგად ჰქონდეთ შესწავლილი აირსაწინააღმდეგო ხელსაწყოების მოხმარება. მეთაურები მოვალენი არიან ხელსაწყოთა მართებულებას თვალყური ადევნონ, რაზედაც პასუხს აგებენ.

აირსავანეები იფარავენ აირისაგან პატარა ჯგუფებს (ტელეფონის ქსელს, საევაკუაციო წერტებს და სხვა) აირ-ბა, მოწინააღმდეგის ქიმიურ თავდასხმის შემდეგ.

მოწინააღმდეგის ქიმიურ თავდასხმისაგან შესაძლო ზიანის შესამცირებლად აირსაწინააღმდეგო ხელსაწყოების მოხმარების გარდა, პოზიციის აირ-ს ხიფათო უბნები წინასწარ უნდა იქმნეს მოგვარებული აირის საწინააღმდეგოთ. ამ შემთხვევაში იმის და მიხედვით, თუ რამდენათ არის სახიფათო ესა თუ ის უბანი აირსაწინააღმდეგო მოწყობილება ერთ შემთხვევაში მეტად იქნება უზრუნველყოფილი ხელსაწყოებით, მეორე შემთხვევაში ნაკლებათ, აირსაწინააღმდეგოდ მოგვარებული პოზიცია კუთვნილებაა ბრძოლის ასპარეზისა და არა ჯარის ნაწილისა, რომელსაც პოზიცია უკავია, რის გამო ცვლის დროს ახალმა ნაწილმა უნდა ნუსხით ჩაიბაროს ყველა ხელსაწყოები და მოწყობილებანი.

როდესაც ქიმიური ნაღმტყორცნი სროლას დაშენით აწარმოებენ ფართე კედაროით, მაშინ წინასწარ შეუძლებელია ჯარის გაფრთხილება, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მტრის მხრიდან სროლისათვის მეტეოროლოგიურ ხელსაყრელ პირობების თვალთვალს. ვინაიდან აირით სროლის ხანგრძლივობა მეტად მცირეა, საშთანგო (სიგნალიზაციის) საშუალებათა სრული გამოყენება შეუძლებელია კედაროზედ და სიღრმით განგაშის (тревога) გავრცელებისათვის, რის გამო საშთანგო სამსახური ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ განგაშის გადაცემას ელვისებური ხასიათი ჰქონდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს პირბადეების სწრაფ მართებულ ჩამოცმას.

აირსავანეებს და ნახევრად დამფარ ბანსანგრებს მოგერიებისა და იერიშის დროს დიდი მნიშვნელობა აქვთ; ვინაიდან იგინი შესამჩნევად აადვილებენ აირსაწინააღმდეგო ხელსაწყოების ხმარებას,

**გ. ბ—შვილი.**

# Წ. ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜ ᲓᲐᲠᲒᲘᲓᲐᲜ.

აცრის სარგებლობა უნდა განისაზღვროს მეცნიერების წმინდა ჩარჩოებით, რომელთა უმთავრეს პირობებს შეადგენენ: „დაკვირვებანი და ცდები“ (ოპიტი). ბრმა რწმენას უბრალო „დაკვირვებაში“, რომლის შემოწმება არ შეიძლება „ცდით“, შეჰყავს ადამიანი მრავალ-გვარ შეცდომაში და აბნეულობაში; თვითეული ფაქტი უნდა ემორჩილებოდეს „ცდასაც“,—ასეთია უმთავრესი მოთხოვნილობა მეცნიერებისა. ვნახოთ, ციმბირის წყლულის წინააღმდეგ „აცრა“ ემორჩილება თუ არა ამ მოთხოვნებს? ჩამოთვლა ყველა იმ „ცდებისა“, რომელიც წარმოებული იყო „ციმბირის წყლულის“ ვაქცინებზე უკანასკნელ საუკუნოებში, ზედმეტად მიგვაჩნია, ვინაიდგან ამ კითხვის შესახებ დაწერილია არა ერთი და ორი შრომა, არამედ—მთელი რიგი შრომებისა. მოვიყვანთ მხოლოდ, უკანასკნელ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულებში გამოცემულს, ვეტერინარ-ექიმის, ამხ. ვიშელესკის ნაშრომს, რომელმაც გადაიტანა სასტიკი კრიტიკის ქარ-ცეცხლი. ამ ნაშრომში ჩვენ ვპოულობთ ხარკოვის ბაქტერიოლოგიურ სადგურის ანგარიშს, რომელიც გვაძლევს დაუფასებელ მასალას 1893 და 1894 წლებში წარმოებულ ციმბირის წყლულის წინააღმდეგ „აცრის“ შესახებ. მასიური აცრის დროს აცრილ საქონლის რიცხვიდან სიკვდილი არ აღემატება, თურმე, ერთს პროცენტს. 1894 წელში აცრილ 171.280 თავ ცხვრიდან დაზარალდა მხოლოდ 1024 თავი,—რაც შეადგენს 0,6 პროცენტს; 1903 წელს ხარკოვის ბაქტერიოლოგიური სადგური აღნიშნავს „აცრას“ ხარკოვის ცხენების ზავოდში; ეს ცხენები ასცრა ვეტერინარ-ექიმმ აგალიმ; აცრილია სულ 398 გამჭენებელი და მსუბუქათ მარბენელი ცხენი, ამ დროსვე აცრილია 280 მძიმე ტვირთის მზიდავი ცხენიც; ამ საერთო აცრილ რიცხვიდან მოკვდა მხოლოდ 34 ცხენი, რაც შეადგენს—5 პროც. შეკრეფილი ცნობების შესახებ გვიხატავენ შემდეგ სურათს: 28276 აცრილ ცხენებზე მოდის ზარალი 0,42 პროც,—72191 აცრილ რქოსან საქონელზე—0.11 პროც.; და 132557 აცრილ ცხვარზე—0.23 პროც, ცალკე შემთხვევებში ზარალი მიდის 1 ან 2 პროც. მეტი არა. ყველაზე სათვალსაჩინო „ცდა-თ“ ჩვენ ვსთვლით მეცხვარე სკადოვსკის „ცდა-ს“, რომელმაც თავის ცხვრების ყოველ წლიური აცრით ციმბირის წყლულისაგან ზარალი დაიყვანა 10 პროცენტიდან—0-13 პროცენტამდე.

მიუმატე ამხანაგო, წითელ-არმიელო, ყოველივე ამას ზემოდ აღნიშნული მაგალითები, რომელიც ჩვენ მივიღეთ ალბაზინის, ჯალინდის რაიონებში მუშაობის დროს და აგრეთვე იაკუტსკის ოლქში, სადაც იძულებით ვიყავით გაგზავნილი, მუშაობის დროს მიღებული დადებითი შედეგები, რომელიც ჩვენ მივიღეთ „კომბინაციური აცრით“ (შეერთებული აცრა ვაქცინით და სითხით ერთსა და იმავე დროს) და შენ აშკარად დარწმუნდები, რომ ციმბირის წყლულის ერთად-ერთი წამალი არის „აცრა“, რომელიც არის შედეგი წმინდა მეცნიერების გამოკვლევისა და დამტკიცებისა.

(გაგრძელება შემდეგ)

**ბახრი**

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**ამხ. გეგიას.** თქვენი წერილი გამოგადგებათ კედლის გაზეთისათვის. მოგვწერეთ საერთო ხასიათის თემებზე.


**ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ** კომ-პარტიის კანდიდატის ბილეთი № 2294 დავით ჰიბალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა წითელ ჯარში ახლად გაწვეულთათვის მეტად საინტერესო წიგნი (კრებული).

**ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ.**

კრებულში მოთავსებულია საუბრები ყველა კითხვებზე, რომელიც კი აინტერესებს წითელ არმიელს, არის აგრეთვე რჩევა-დარიგება და მრავალი სხვა, რომელიც უნდა იცოდეს ყოველმა წითელ არმიელმა.

გამოცემა: რ.ა.კ.კ. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის.

**ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗ**

**„ᲙᲠᲐᲡᲜᲐᲘᲐ ᲖᲕᲔᲖᲓᲐ“-ზე**

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. თვით) მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან“ მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:**

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.